





გენდერული პოლიტიკა

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

2021 წლის ივნისი
საქართველო, თბილისი

სარჩევი

შესავალი	5
1. მიზნები	5
გამოყენების მასშტაბი	6
სახელმძღვანელო პრინციპები.....	6
მაღალი დონის კორპორატიული ლიდერობის ჩამოყალიბების ვალდებულება გენდერული თანასწორობის მიზნით.....	7
<i>თითოეული ქალისა და კაცის მიმართ სამართლიანად მოპყრობის ვალდებულება სამუშაო ადგილზე - ადამიანის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა და არადისკრიმინაცია.....</i>	<i>7</i>
<i>ყველა ქალისა და კაცის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულება</i>	<i>8</i>
<i>ქალთა განათლების, ტრენინგისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება</i>	<i>9</i>
<i>საწარმოების განვითარების, მიწოდების ჯაჭვისა და მარკეტინგული პრაქტიკის განხორციელების ვალდებულება, რომელიც აძლიერებს ქალებს</i>	<i>9</i>
<i>სათემო ინიციატივებისა და ადვოკატირების გზით თანასწორობის ხელშეწყობის ვალდებულება</i>	<i>10</i>
<i>მიღწეული პროგრესის გაზომვისა და საჯარო ანგარიშგების ვალდებულება.....</i>	<i>10</i>
2. პოლიტიკის განხორციელება პროექტის/პროგრამის დონეზე	10
პროექტის მომზადების ეტაპზე:.....	11
პროექტის განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპზე:.....	11
3. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა	11
მიზანი	11
გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები	11
4. ორგანიზაციული პასუხისმგებლობა	13
დასკვნა.....	14
გენდერული პოლიტიკის ფუნქციონირება.....	14
ეფექტურობა და გადახედვა.....	14

შესავალი

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ვალდებულება გენდერული¹ თანასწორობის საკითხში ეფუძნება კომპანიის მისიას, რაც გულისხმობს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებას და ფერმერთა გაერთიანებისა და მათი ხელვადობის ხელშეწყობის გზით ქართველი ფერმერთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია აღიარებს, რომ გენდერული უთანასწორობა შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი; ამიტომ, სოფლის მეურნეობის სექტორზე ზემოქმედების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ასოციაცია მიზნად ისახავს, რომ მოახდინოს გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება განხორციელებულ აქტივობებსა და პროექტებში.

პოლიტიკის თანახმად, გენდერული ურთიერთობები, როლები და პასუხისმგებლობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობასა და კონტროლზე ისეთ საკითხებში, როგორცაა გადაწყვეტილებები, აქტივები, რესურსები, ინფორმაცია, მომსახურებები და ცოდნა; შესაბამისად, გენდერული უთანასწორობის შედეგებმა შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს არსებული ეკონომიკური უთანასწორობა. გარდა ამისა, პოლიტიკა ცხადყოფს, რომ ინიციატივები უფრო მდგრადი და სამართლიანია, ხოლო მათი მიზნები მიღწევადია მაშინ, როდესაც გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერების საკითხები ინტეგრირებულია დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესში.

გენდერული თანასწორობის ეფექტური ხელშეწყობის მიზნით, პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ ადგილი არ ჰქონდეს არაპროპორციულ უპირატესობას არც კაცებისთვის და არც ქალებისთვის. პოლიტიკის თანახმად, ასოციაცია ვალდებულია, უზრუნველყოს გენდერის² სრული ინტეგრაცია მის პროცესებსა და ქმედებებში, უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის შესახებ ცოდნის მართვა აქტივობებში, პროგრამებსა და პროექტებში, რაც იქნება სხვადასხვა პარტნიორობის დროს ორგანიზაციის ეფექტურობისა და კომპეტენციის გაზრდის წინაპირობა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის გენდერული პოლიტიკა სრულ თანხვედრაშია გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გაეროს გლობალური კომპაქტის ქალთა გაძლიერების პრინციპებთან და შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი 5-ის გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო ვალდებულებებს.

1. მიზნები

წინამდებარე გენდერული პოლიტიკა აძლიერებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პასუხისმგებლობას გენდერული თანასწორობის მრავალფეროვან კონტექსტში, რათა უკეთ გაითვალისწინოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. გენდერული პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგ მიზნებს: (ა) გენდერული თანასწორობის წახალისებას ასოციაციის ყოველდღიური

¹ გენდერი განიმარტება, როგორც სოციალური როლები, ქცევები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ენიჭება ქალებსა და კაცებს ნებისმიერ საზოგადოებაში. ბიოლოგიისგან განსხვავებით, სქესი ცვალებადია და ქალისა და კაცის როლები, ქცევები და პასუხისმგებლობები იცვლება დროთა განმავლობაში და განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებაში.

საქმიანობის დროს; და ბ) გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა მისი საქმიანობისა და მომსახურებების მეშვეობით.

გენდერული პოლიტიკა ასახავს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნით, რომელიც მიიღწევა შემდეგი გზით: (ა) გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ასპექტების ინტეგრირება ყოვლისმომცველი გენდერული მიდგომის მეშვეობით, რომელიც გამოიყენება როგორც ორგანიზაციაში, ასევე მის პროექტებში; (ბ) მომსახურებებსა და ინვესტიციებზე ქალთა უკეთესი ხელმისაწვდომობის წახალისება და ქალთა მიერ მართული ბიზნესებისა და მეურნეობების მხარდაჭერა.

გამოყენების მასშტაბი

გენდერული პოლიტიკა აღიარებს ქალებისა და კაცების თანაბარ უფლებებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მომსახურებებზე ხელმისაწვდომის თვალსაზრისით; აქედან გამომდინარე, ეს პოლიტიკა გამოყენებული იქნება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აქტივობებში ოთხ ურთიერთდაკავშირებულ დონეზე:

(ა) ინსტიტუციური დონე: გენდერული საკითხების განხილვა მის ყოველდღიურ მმართველობაში, საქმიანობასა და პროცედურებში და საჭირო რესურსების, იქნება ეს ფინანსური თუ ადამიანური რესურსების გამოყოფა, რათა ეს მიდგომა იყოს მდგრადი და ეფექტური;

(ბ) პროექტის/პორტფელის დონე: გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხელშეწყობა და უკეთესი ანგარიშვალდებულების შექმნა როგორც კაცების, ასევე ქალების წინაშე; მყარი და მდგრადი საარსებო საშუალებების შექმნა;

(გ) ეროვნული დონე: საქართველოს ფერმერთა ასოციაციას, პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და შენარჩუნება, რომელიც ეფუძნება არსებულ ვალდებულებებს, სტანდარტებს და გენდერული თანასწორობის მიღწევის მექანიზმებს;

(დ) სექტორის დონე. მაღალი ხარისხის, ყოვლისმომცველი, სისტემური და მონაწილეობითი სქესის ნიშნით დახარისხებული მონაცემების შეგროვების, ხარისხობრივი და რაოდენობრივი გენდერული ანალიზისა და სამოქმედო გეგმების ხელშეწყობა.

სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის გენდერული პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ ეროვნულ კანონმდებლობასთან, როგორცაა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსი და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, მდგრადი

განვითარების მიზნები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები, რომელთა ხელმომწერი მხარეც საქართველოა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია მიზნად ისახავს, სხვადასხვა საშუალებით ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი პასუხისმგებლობის გარდა, ასოციაციას შეუძლია წახალისოს სამუშაო ადგილებზე, ბაზრებსა და თემებში ქალთა გაძლიერება. ის ზედმიწევნით დაიცავს ქალთა გაძლიერების პრინციპებს, რომლებიც შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გაეროს გლობალური კომპაქტის ფარგლებში, რათა მოერგოს პოლიტიკას, პროგრამებსა და ინიციატივებს ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სადაც ქალებსა და გოგონებს წარმატების მიღწევის შესაძლებლობა ექნებათ.

მაღალი დონის კორპორატიული ლიდერობის ჩამოყალიბების ვალდებულება გენდერული თანასწორობის მიზნით

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი როლი გააჩნია გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელები თანხმდებიან გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვნებაზე და ადასტურებენ მაღალი დონის მხარდაჭერას; ასევე გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების მიზნით იხელმძღვანელებენ მაღალი დონის პოლიტიკითა და კორპორატიული კულტურით.

როგორ უნდა განხორციელდეს:

- მაღალი დონის მხარდაჭერის დადასტურება და უმაღლესი დონის პოლიტიკით ხელმძღვანელობა გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებებისთვის;
- კომპანიის მიზნებისა და გენდერული თანასწორობის სამიზნეობის ჩამოყალიბება და პროგრესზე მსჯელობა მენეჯერების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების დროს;
- კომპანიის პოლიტიკის, პროგრამებისა და განხორციელების გეგმების შემუშავების პროცესში შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა, რაც ხელს უწყობს თანასწორობას;
- უზრუნველყოფა იმ ფაქტის, რომ ყველა პოლიტიკა გენდერულად სენსიტიური იქნება - განისაზღვროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებსა და კაცებზე განსხვავებულად - და, რომ კორპორატიული კულტურა ხელს შეუწყობს თანასწორობასა და ინკლუზიას.

თითოეული ქალისა და კაცის მიმართ სამართლიანად მოპყრობის ვალდებულება სამუშაო ადგილზე - ადამიანის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა და არადისკრიმინაცია

არადისკრიმინაციული გარემოს ხელშეწყობის მიზნით, რომელშიც ქალები და კაცები პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობენ, საქართველოს

ფერმერთა ასოციაცია ახორციელებს არადისკრიმინაციულ პოლიტიკას, როგორცაა თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურება (შეღავათების ჩათვლით) და ითვალისწინებს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის მომსახურებების, რესურსების და ინფორმაციის მიწოდებით.

როგორ უნდა განხორციელდეს:

- დარწმუნდით, რომ სამუშაო ადგილის პოლიტიკა და პრაქტიკა თავისუფალია გენდერული დისკრიმინაციისგან;
- განახორციელეთ დასაქმებისა და პერსონალის შენარჩუნების გენდერულად მგრძობიარე პრაქტიკა, და პროაქტიულად შეინარჩუნეთ და დანიშნეთ ქალები ხელმძღვანელ და აღმასრულებელ პოზიციებზე და საბჭოებში;
- უზრუნველყავით ქალთა საკმარისი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მმართველობის ყველა დონეზე და ბიზნესის ყველა სფეროში;
- შესთავაზეთ მოქნილი სამუშაო პირობები, შვებულების და თანამდებობაზე დაბრუნების შესაძლებლობები თანაბარი ანაზღაურებითა და სტატუსით;
- ხელი შეუწყვეთ ბავშვზე და მოვლაზე ხელმისაწვდომობას ქალებისა და კაცებისთვის სერვისების, რესურსებისა და ინფორმაციის მიწოდებით.

ყველა ქალისა და კაცის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულება

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო პირობები და პოტენციური რისკებისგან დაცვა, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის რისკის, ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფისა და სექსუალური შევიწროებისგან დაცვა.

როგორ უნდა განხორციელდეს:

- შესთავაზეთ ჯანმრთელობის დაზღვევა ან სხვა საჭირო მომსახურება - მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/გადარჩენილთა დახმარება;
- მოაგვარეთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, მათ შორის ქალთა უსაფრთხოება, რომლებიც მოგზაურობენ სამუშაოსთან დაკავშირებული მიზნებით;
- მოამზადეთ მენეჯერები და უსაფრთხოების პერსონალი გენდერული თანასწორობის, ადამიანებით ვაჭრობის, შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის საკითხების შესახებ;
- ჩამოაყალიბეთ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სამუშაო ადგილზე ძალადობის ყველა ფორმის მიმართ, სიტყვიერი და/ან ფიზიკური შეურაცხყოფის ჩათვლით და სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით შექმენით ფაქტის შეტყობინების სათანადო მექანიზმი.

ქალთა განათლების, ტრენინგისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ინვესტიციას დებს სამუშაო ადგილზე პოლიტიკისა და პროგრამების შექმნაში, რომლებიც ქმნის ქალთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს. ის უზრუნველყოფს განათლების, ტრენინგისა და პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას და უზრუნველყოფს ტრენინგებსა თუ პროფესიულ განვითარებაზე ქალთა ხელმისაწვდომობასა და მათ მონაწილეობას.

როგორ უნდა განხორციელდეს:

- ინვესტირება სამუშაო ადგილზე პოლიტიკასა და პროგრამებში ქალების დაწინაურებისთვის ყველა დონეზე და ყველა ბიზნეს სფეროში, არატრადიციულ სამუშაო სფეროებში ქალების წახალისება.
- თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კომპანიის მიერ მხარდაჭერილ ყველა საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამაზე.
- თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ფორმალური და არაფორმალური ქსელებისა და მენტორებისთვის.

საწარმოების განვითარების, მიწოდების ჯაჭვისა და მარკეტინგული პრაქტიკის განხორციელების ვალდებულება, რომელიც აძლიერებს ქალებს

საქართველოს ფერმერთა ასოციაციას ხელეწიფება, პირდაპირი მხარდაჭერით ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას ქალი ფერმერებისა და მეწარმეებისთვის, სერვისებსა და რესურსებზე უკეთეს ხელმისაწვდომობას და მომწოდებლების წახალისების გზით გენდერული თანასწორობის პრაქტიკის ხელშეწყობას.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციას შეუძლია მხარი დაუჭიროს ქალებს გარე კომუნიკაციებისა და პარტნიორებთან/დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მეშვეობით, აგრეთვე მიწოდების ჯაჭვისა და მარკეტინგული პრაქტიკის საშუალებით, რომელიც აძლიერებს ქალებს და იცავს მათ ღირსებას (მიუკერძოებელი ენის გამოყენება, ქალისა და კაცის თანაბარი წარმომადგენლობა/ფოტოები, არა სტერეოტიპული ვიზუალი მარკეტინგში და კომპანიის სხვა მასალები).

როგორ უნდა განხორციელდეს:

- მიწოდების ჯაჭვის და მარკეტინგული პრაქტიკის განხორციელება, რომელიც აძლიერებს ქალებს;
- საქმიანი ურთიერთობების გაფართოება ქალ ფერმერებთან/მეწარმეებთან და ქალების საკუთრებაში არსებულ საწარმოებთან, მათ შორის მცირე ბიზნესთან თანამშრომლობა;
- გენდერულად მგრძობიარე მომსახურებების მიწოდება;
- ქალის ღირსების პატივისცემა ყველა მარკეტინგულ და კომპანიის სხვა მასალაში.

სათემო ინიციატივებისა და ადვოკატირების გზით თანასწორობის ხელშეწყობის ვალდებულება

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია იქნება მაგალითი და ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერებას ფართო საზოგადოებაში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ან საგრანტო პროექტების განხორციელებით, მათ შორის, სათემო ინიციატივებით და დაინტერესებულ მხარეებთან, ბიზნეს პარტნიორებთან, ფართო საზოგადოებასთან, მომწოდებლებთან და მოვაჭრეებთან ერთად გამართული კამპანიებით.

როგორ უნდა განხორციელდეს:

- გავლენის გამოყენება, მარტო ან პარტნიორობის მეშვეობით, რათა მხარი დაეჭიროს გენდერულ თანასწორობას და ბიზნეს პარტნიორებთან, მომწოდებლებთან და თემის ლიდერებთან თანამშრომლობას, რათა წახალისდეს ინკლუზია;
- დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციის აღმოფხვრის, ასევე ქალებისა და გოგონებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნის მიზნით საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან, თანამდებობის პირებთან და სხვებთან თანამშრომლობა;
- ფილანთროპიული და საგრანტო პროგრამების გამოყენება, რათა მხარი დაეჭიროს კომპანიას აღებული ვალდებულების შესრულებაში, რაც უკავშირდება ინკლუზიას, თანასწორობასა და ადამიანის უფლებების დაცვას.

მიღწეული პროგრესის გაზომვისა და საჯარო ანგარიშგების ვალდებულება

გენდერული თანასწორობის მიზნების გაზომვით და ანგარიშგებით დაინტერესებული მხარეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის საქართველოს ფერმერთა ასოციაცია შეძლებს ქალთა გაძლიერების ეფექტური ინიციატივების პოპულარიზაციას.

როგორ უნდა განხორციელდეს:

- გენდერული თანასწორობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გახდეს საჯარო;
- ყველა დონეზე ქალთა ჩართვის კრიტერიუმების დადგენა;
- პროგრესის გაზომვა და ანგარიშგება როგორც შიდა, ისე გარე მხრიდან სქესის მიხედვით დახარისხებული მონაცემების გამოყენებით;
- გენდერული ელემენტების ჩართვა მიმდინარე ანგარიშგების ვალდებულებებში.

2. პოლიტიკის განხორციელება პროექტის/პროგრამის დონეზე

გენდერული პოლიტიკა მხარს უჭერს პროექტის დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას, ასევე შედეგების შესახებ ანგარიშგებას, მათ შორის სქესის მიხედვით დახარისხებული მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებას.

პროექტის მომზადების ეტაპზე:

- ა) საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ შემუშავებული პროექტებისა და პროგრამების გენდერული პოლიტიკის პრინციპებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;
- ბ) გენდერული შეფასებების, კონტექსტის ანალიზისა და გენდერული უთანასწორობის გამწვავების სოციალურ-კულტურული ფაქტორებისა და პროექტის დონეზე გენდერული სამოქმედო გეგმის შემუშავების უნარი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სარგებელი ყველა ასაკის ქალებისა და კაცებისთვის.

პროექტის განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპზე:

- ა) პროექტის დონეზე გენდერული ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ზომების მიღება;
- ბ) გენდერთან დაკავშირებული საბაზისო კვლევების, ინდიკატორებისა და მიზნების განხორციელება;
- გ) პროექტის დონეზე გენდერული ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება;
- დ) გენდერული ზემოქმედების შეფასება და განხილვა (ინსტრუმენტებისა და საკონტროლო სიების გამოყენებით) და დროთა განმავლობაში გენდერული საქმიანობის გაუმჯობესება პროექტის/პროგრამის დონეზე.

3. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

მიზანი

გენდერული პოლიტიკა მიზნად ისახავს, შეაფასოს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინტერვენციების შედეგები და მათი ზემოქმედება ქალებისა და კაცებზე, აგრეთვე, უზრუნველყოს ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, თანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებსა და მომსახურებებზე, ასევე სქესის მიხედვით დახარისხებული მონაცემების შეგროვება გენდერული ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგისთვის, თუ რა სარგებელი მოაქვს ამ მიზნებს ქალებისა და კაცებისთვის.

გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები

გენდერულად პასუხისმგებლიანი ინდიკატორები და მიზნები (სქესის მიხედვით) შეიძლება იყოს მტკიცე საფუძველი გენდერულად მგრძობიარე მონიტორინგისა და შეფასების ჩასატარებლად. გენდერულად მგრძობიარე და სქესის ნიშნით დახარისხებული მონაცემების შეგროვება აუცილებელია მონიტორინგისა და შეფასებისთვის (M&E) და გენდერული შედეგების შესახებ ანგარიშგებისთვის.

გენდერული შედეგების შესახებ ანგარიშგება

გენდერულ მიდგომებზე და გენდერულად სენსიტიური მონაცემების შეგროვების საფუძველზე, გენდერული შედეგების შესახებ ანგარიშგება უნდა იყოს ყველა პროექტის ანგარიშგების პროცესის აუცილებელი კომპონენტი:

- მათ შორის გენდერთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების დოკუმენტირება და გავრცელება;
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრესის ანგარიშებში, განხორციელების სტატუსის ანგარიშებსა და სხვა სახის ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება გენდერული თანასწორობის შედეგები და ნასწავლი გაკვეთილები.

სექსუალური შევიწროების ფაქტის შეტყობინების მექანიზმი

სექსუალური შევიწროების ფაქტის შეტყობინების მექანიზმი ჩამოყალიბებულია, როგორც ფორმალური საჩივრის პროცესი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ იმ პირებმა, რომლებზეც უარყოფით გავლენას მოახდენს გარკვეული აქტივობები. ნებისმიერ პირს ან ჯგუფს, რომელსაც ზიანი მიადგა სექსუალური ხასიათის დანაშაულით, შეუძლია საჩივარი შეიტანოს მექანიზმის მეშვეობით. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ადამიანური რესურსების კადრებს ან დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტს ან თავმჯდომარეს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საჩივრის განხილვის ეტაპებში, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი პროცედურების წესებში. მექანიზმი აძლიერებს თანამშრომელთა გამჭვირვალობას და ანგარიშგაღებულეობას. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია გეგმავს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში ყველა პერსონალის გადამზადებას სახალხო დამცველის აპარატის ონლაინ რესურსების გამოყენებით.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ირჩევს საჩივრის მექანიზმის შეტყობინებისა და განხილვის მეთოდს (ანონიმური ელფოსტა, წერილის ყუთი ან სხვა) და განიხილება, კერძოდ, დიალოგზე დაფუძნებული, პრობლემის გადაჭრის მეთოდებით, როგორცაა შუამავლობა ან ფაქტების დამდგენი გამოძიება, რომელსაც მოჰყვება რეკომენდაციების შემუშავება.

ამონარიდი საქართველოს ფერმერთა ასოციაციის დისკრიმინაციისა და შევიწროების რეგლამენტიდან
საჩივარი და მისი განხილვის პროცედურა ა) პირმა, რომელიც თავს თვლის სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის ან შევიწროების მსხვერპლად, თუ ეს შესაძლებელია, უნდა აცნობოს სავარაუდო მოძალადეს, რომ მისი ქცევა არასასურველი და მიუღებელია; ბ) თუ მსხვერპლს არ შეუძლია უშუალოდ მიმართოს სავარაუდო მოძალადეს, მას შეუძლია აცნობოს ასოციაციის თავმჯდომარეს ან გამგეობის ნებისმიერ წევრს სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის ან შევიწროების ფაქტის შესახებ. სავარაუდო სექსუალური შევიწროების ან დისკრიმინაციის შესახებ დაზარალებულმა წერილობით უნდა შეიტანოს საჩივარი (იხ. დებულების დანართი N3); გ) სავარაუდო მსხვერპლმა საჩივარში უნდა მიუთითოს სავარაუდო მოძალადის სახელი და გვარი, მისი თანამდებობა, ინფორმაცია მათი სამუშაო/პროფესიული ურთიერთობის

შესახებ, სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის ან შევიწროების ფაქტები. თუ ეს შესაძლებელია, სავარაუდო დაზარალებულმა უნდა დაურთოს მტკიცებულებები (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, ხდება მესამე პირების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება ფლობდნენ ინფორმაციას ფაქტის შესახებ);

დ) აკრძალულია მომჩივანის ვიქტიმიზაცია, რომელიც საჩივარს შეიტანს სავარაუდო შევიწროების ფაქტზე;

ე) სავარაუდო შევიწროების ან დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ ზეპირი ან წერილობითი საჩივრის შეტანის შემდეგ ასოციაციის თავმჯდომარე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას (იხ. დებულების დანართი N5), რომლის საფუძველზეც შერჩეულ იქნება კომისიის სამი წევრი ინციდენტის გამოსაძიებლად. კომისიის საბოლოო ანგარიშის/დასკვნის თავმჯდომარისთვის წარდგენის საფუძველზე, ეს უკანასკნელი განიხილავს სავარაუდო მოძალადის მიმართ დისციპლინურ პასუხისმგებლობას და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ საჩივრის ადრესატი ასოციაციის თავმჯდომარეა, კომისიის ანგარიში/დასკვნა წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

4. ორგანიზაციული პასუხისმგებლობა

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია იმუშავებს ორგანიზაციის მასშტაბით გენდერული თანასწორობის პოლიტიკას და სამოქმედო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ პრიორიტეტულ სფეროებს კომპანიის მიზნებისა და სამიზნეების მისაღწევად გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მხრივ და პროგრესის გასაზომად შესრულების მკაფიო ინდიკატორების მეშვეობით. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს გენდერულ თანასწორობასა და კორპორატიული მდგრადობისა და ბიზნესის საქმიანობის სხვა სფეროებს შორის კავშირს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია განსაზღვრავს გენდერულ საკითხებში საკონტაქტო პირს (GFP) საშუალო მენეჯმენტის დონეზე, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი გენდერული თანასწორობის მიზნებისა და სამიზნეების პროაქტიულ დაგეგმვასა და მიღწევაზე, გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და მიზნების ფართო კომუნიკაციაზე მენეჯმენტთან, პერსონალთან და ფართო აუდიტორიასთან. საკონტაქტო პირი ეხმარება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელ მენეჯმენტს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ადვოკატირებაში და კომპანიის ვალდებულებების საჯაროდ პოპულარიზაციაში.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია იღებს ვალდებულებას, გამოიყენოს გენდერული პოლიტიკა ორგანიზაციის დონეზე და პროგრამის/პროექტის დონეზე. საკონტაქტო პირს აქვს ტექნიკური გამოცდილება გენდერული მოსაზრებების ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად საპროექტო ციკლების განმავლობაში და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. გენდერულ საკითხებში საკონტაქტო პირი ანგარიშს წარუდგენს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის უმაღლეს მენეჯმენტს გენდერული მენისტრინგის საკითხების შესახებ სუბიექტის დონეზე და პროექტის/პროგრამის დონეზე.

დასკვნა

გენდერული პოლიტიკის ფუნქციონირება

პოლიტიკა მოითხოვს გენდერულად პასუხისმგებლიანი პროცედურების გამოყენებას და მოთხოვნების შესრულებას ორგანიზაციის დონეზე და პროექტის/პროგრამის დონეზე შემდეგი პროცედურების მიზნით:

- გენდერული სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- გენდერული ასპექტების ინტეგრირება პროექტის/პროგრამების ბიუჯეტში გენდერული აქტივობების განსახორციელებლად;
- დაინტერესებული მხარეებთან გენდერულად პასუხისმგებლიანი კონსულტაციების ჩატარება და ცოდნის მართვა;
- გენდერთან დაკავშირებული აქტივობებისა და გენდერული პასუხისმგებლობის ინდიკატორების ინტეგრირება აქტივობის, გადაჭრის გზის, შედეგისა და ზემოქმედების დონეზე.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის გენდერული პოლიტიკისა და გენდერული სამოქმედო გეგმის ფუნქციონირების ძირითადი პრიორიტეტული სფეროები მოიცავს შემდეგს:

- (ა) მმართველობა;
- (ბ) კომპეტენციები და შესაძლებლობების განვითარება;
- (გ) რესურსების განაწილება, ხელმისაწვდომობა და ბიუჯეტირება;
- (დ) ოპერატიული პროცედურები; და
- (ე) ცოდნის გენერირება და კომუნიკაციები.

ეფექტურობა და გადახედვა

წინამდებარე გენდერული პოლიტიკა და გენდერული სამოქმედო გეგმა ძალაში შევა საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე. პოლიტიკა გავრცელდება მიმდინარე აქტივობებზე გონივრულობის ფარგლებში და იმ აქტივობებზე, რომლებიც დამტკიცდება ამ პოლიტიკის ძალაში შესვლის შემდეგ.

წინამდებარე გენდერული პოლიტიკა ძალაში დარჩება მანამ, სანამ არ შეიცვლება ან არ გაუქმდება საბჭოს მიერ.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციას ესმის, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერება ინსტიტუციურ და პროექტის დონეზე არის გრძელვადიანი და იმავდროულად, მდგრადი ვალდებულება, რომელიც მოიცავს ყოველწლიურად პროგრესის მონიტორინგს და ანგარიშგებას.

ასოციაცია ასევე აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიდგომები დროთა განმავლობაში ვითარდება. ამიტომ, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება გენდერული პოლიტიკის გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება.

